# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

## მომსახურების შესახებ

*ს.ს.ი.პ. თბილისის 202 საჯარო სკოლასა*

*შ.პ.ს. „ტყემალაძე და პარტნიორებს“*

*შორის*

თბილისი

2013

ქ. თბილისი

18 მარტი 2013



ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ. თბილისის 202 -ე საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის ხათუნა ჯალაღონიას სახით, შემდგომში "დამკვეთად" წოდებული და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „ტყემალაძე და პარტნიორები" წარმოდგენილი მისი დირექტორის **ტარიელ ტყემალაძის** სახით შემდგომში „შემსრულებლად" წოდებული, ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსრულებელი უწევს დამკვეთს იურიდიულ-საკონსულტაციო მომსახურებას cpv79100000.
1.2 იურიდიულ-საკონსულტაციო მომსახურებაში შედის:

• რეკომენდაცია სამართლებრივ საკითხებზე.
• ბრძანებების, ხელშეკრულებების, წერილების მომზადება.
• საკადრო ცვლილებების სამართლებრივი რეგულირება ( მუშაკის დათხოვნა, დაქვეითება, სხვა თანამდებობაზე გადაყვანა და ა.შ. )
• შესყიდვების სააგენტოსთან ურთიერთობის მოწესრიგება
• განათლების სამინისტროსთან, სამეურვეო საბჭოსთან პრობლემური საკითხების, მოსწავლის/მშობლის საჩივრის განხილვა და გადაწყვეტა
• კომუნალური ხარჯების, გადასახადების დაკისრების კანონიერების შესწავლა
• სამეწარმეო ურთიერთობებში ჩაბმული სკოლის მეწარმე სუბიექტთან ურთიერთობის რეგულირება
• ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა საერთო სასამარლოებსა და არბიტრაჟში.
• პრობლემურ საკითხთა განხილვა და გადაწყვეტა, რომლებიც არ არის ნუსხაში სახელდებით მოხსენებული, მაგრამ გამომდინარეობს სკოლის ინტერესებიდან.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. შემსრულებელი ვალდებულია იურიდიული მომსახურეობა გაუწიოს დამკვეთს სწრაფად და ხარისხიანად, პროფესიონალის გულისხმიერებით, შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენის, მათი დროულად წარდგენის და აუცილებელი იურიდიული მოქმედებების შესრულებით, ასევე სატელეფონო საუბრებისა და ელექტრონული გზავნილების მეშვეობით.
2.2. კონტრაქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას შემსრულებელი მოქმედებს დამკვეთის ინტერესების შესაბამისად. შემსრულებელი დამკვეთის ინტერესების დაცვის ტაქტიკის, გზების, საშუალების შერჩევისას დამოუკიდებელია. ამასთან შემსრულებლის დასკვნები შეესაბამება დამკვეთის მიერ მიწოდებულ ფაქტობრივ მონაცემებს, რომელთა უტყუარობისა და დროულად მიწოდების თაობაზე პასუხისმგებელია დამკვეთი.
2.3. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას არ გაახმაუროს მომსახურეობის გაწევის პროცესში მისთვის ცნობილი ფაქტები, რომელთა საიდუმლოდ შენახვითაც დამკვეთი მართლზომიერადაა დაინტერესებული (კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება).
2.4. დამკვეთს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსრულებელს იურიდიული მომსახურეობის დროულად და ხარისხიანად გაწევა.
2.5. დამკვეთი ვალდებულია შემსრულებელს სრულად და დროულად გადაუხადოს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. მომსახურების ღირებულება და გადახდის პირობები
3.1. ხელშეკრულების საგნის მთლიანი ღირებულება შეადგენს 1312,50 (ერთიათას სამასთორმეტი ლარი და 50თეთრი) ლარს.
3.2. იურიდიულ-საკონსულტაციო მომსახურების ყოველთვიური ღირებულების გადახდა ხდება ყოველთვიურად, საანგარიშსწორებო თვის დასრულებიდან 5 დღის ვადაში.

4. სპეციალური პირობები

4.1. მხარეები აცხადებენ, რომ მათ შორის საქმიანი ურთიერთობა ეფუძნება განსაკუთრებულ ნდობასა და ურთიერთპატივისცემას.
4.2. შემსრულებლის მიერ გაწეულ მოქმედებებზე და შედეგებზე ამ ხელშეკრულების ფარგლებში, სამართლებრივ და ფინანსურ პასუხისმგებლობას კისრულობს შემსრულებელი სრულად.

5. უთანხმოება და მათი გადაჭრის პროცედურები

5.1. მხარეები თანხმდებიან რომ ყველა უთანხმოება გადაიჭრება ურთიერთმოლაპარაკების გზით, ასევე კანონით დაშვებული ყველა საშუალებით.
5.2. ხელშეკრულების ნორმათა ბუნდოვანებისას ან დედნებს შორის შინაარსის სხვადასხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება სკოლის დირექციის ხელთ არსებულ ხელშეკრულების დედანს.

6. ხელშეკრულების მოქმედება და პირები

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2013 წლის 31 დეკემბრამდე.
6.2. მხარეთა შეთანხმებით, ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები.
6.3. დამკვეთს უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ კომპენსაციის გარეშე მოშალოს ხელშეკრულება სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდე.
6.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

7. მხარეთა რეკვიზიტები და საბოლოო ხელმოწერები

**დამკვეთი**

სსიპ თბილისის 202-ე საჯარო სკოლა

მისამართი: ქ.თბილისი გუთნის ქუჩა№6
ს/კ: 220101402

საბაკო რეკვიზიტები:
სს "ლიბერთი ბანკი"
ი.ჭავჭავაძის გამზ.74 თბილისი,0162
საქართველო
LBRTGE22
ანგარიშის ნომერი;
GE83LB012113414322900

ტელ: 577 99 17 11

დირექტორი:

/ხათუნა ჯალაღონია/

**შემსრულებელი**

შ.პ.ს. "ტყემალაძე და პარტნიორები"

მისამართი: საჩხერის რაიონი სოფ ჭორვილა
ს/კ 439392550
(ფაქ: ვარკეთილი 3, 2მ/რ, 3 სად, ბ 42.)
საბანკო რეკვიზიტები:
სს "თიბისი ბანკი"
ბ/კ TBCBGE 22
ა/ა GE33TB7568136080100001
ტელ: 593 10 01 28
email: tariel-tyemala@mail.ru

დირექტორი:

/ტარიელ ტყემალაძე/